ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №40

აბაშა, 2023 წლის 4 აგვისტო

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი პუნქტის "დ,გ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მოსაწყობად საჭირო ტექნიკის შეძენა-მონტაჟი-ინსტალაციის (თანმდევი მომსახურეობით) შესყიდვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს და შეადგენს 880 000 ლარს დღგ-ის გათვალისწინებით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია